

# სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმის მენეჯმენტი“ სპეციალობაში მისაღები გამოცდის ბილეთის მაგალითი

მისაღები გამოცდის ბილეთი N1 (მაგალითი)

გამოცდის ხანგრძლივობა: 3სთ  
საგამოცდო საკითხების რაოდენობა 10  
ყოველი საკითხის მაქსიმალური შეფასება 10ქ  
მ.შ.

თეორიული ცოდნა - მაქსიმუმ 4 ქულა  
თეორიული ცოდნის სიტუაციაზე მორგების უნარი - მაქსიმუმ 4 ქულა  
ბიზნეს-ტერმინოლოგიის გამოყენების უნარი - მაქსიმუმ 1 ქულა  
აკადემიურობა - მაქსიმუმ 1 ქულა  
გამსვლელი ქულა: 51ქ

## ამოცანა 1.

### დისციპლინა: ტურიზმის და მასპინძლობის საფუძვლები

აშშ-ის არაერთ შტატს გააჩნია საბიუჯეტო პრობლემები. კანონმდებელთა ნაწილი ფიქრობს სათამაშო ბიზნესის ლეგალიზებაზე. ზოგიერთმა შტატმა უკვე დააკანონა სათამაშო ბიზნესი. როგორც ერთ-ერთი შტატის წარმომადგენელი, თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ სათამაშო საქმიანობის დაკანონება შტატის საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდისათვის. რა მიზეზებს მოიყვანდით ამ კანონპროექტის მხარდასაჭერად? რა საწინააღმდეგო არგუმენტებს შეიძლება მოელოდეთ?

## ამოცანა 2.

### დისციპლინა: მენეჯმენტის საფუძვლები

ტურისტული კომპანია „უნივერსი“, ამჟამად მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს. ძირითადი პირობა ისაა, რომ მოსალოდნელია საწვავზე ფასების გაზრდა, ასევე მოსალოდნელია მაღალი ინფლაცია, რის შედეგადაც თანამშრომლები ითხოვენ ხელფასების მომატებას. მოამზადეთ განვითარების სცენარი;

- შეადგინეთ მოკლევადიანი გეგმა, გაითვალისწინეთ მიმდინარე სიტუაცია;
- როგორ აისახება ინფლაცია ტურისტული კომპანიის გრძელვადიან მიზნებზე?
- ჩამოაყალიბეთ გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება გარე არეში მიმდინარე პროცესები

## ამოცანა 3.

### დისციპლინა: მარკეტინგის საფუძვლები

განსაზღვრეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მიზნობრივი ბაზარი და შექმენით ასეთი მუზეუმის მარკეტინგული კომპლექსი (მიქსი).

## ამოცანა 4.

### დისციპლინა: ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება ტურიზმში

ტურისტული სააგენტოს მიერ შექმნილია

1.03.2021 ავიაბილეთი 10 ც ერთეულის ფასი 300 ლარი

3.03.2021 ავიაბილეთი 15 ც ერთეულის ფასი 400 ლარი

5.03.2021 ავიაბილეთი 20 ც ერთეულის ფასი 500 ლარი

რეალიზებულია

5.03.2021 25 ავიაბილეთი ერთეულის ფასი 400

გაიანგარიშეთ თვითღირებულება LIFO მეთოდის გამოყენებით და გამოთვალეთ ფინანსური შედეგი (მოგება/ზარალი)

## ამოცანა 5.

### დისციპლინა: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში

თქვენ ხართ სასტუმროს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი. სასტუმროს სჭირდება ფრონტ-ოფისის თანამშრომელი (დესკზე). მოამზადეთ 6 პუნქტიდან შემდგარი განცხადება დასაქმების ვებ-გვერდისთვის, რომელიც მოიცავს მოთხოვნებს მოცემულ პოზიციაზე.

## ამოცანა 6.

### დისციპლინა: ლოგისტიკა ტურიზმში

სასტუმროს ფინანსურ მენეჯერს დასაანგარიშებელი აქვს აეროპორტიდან ტურისტული ჯგუფის (10 კაცი) სასტუმროში ტრანსფერის ტარიფი ერთ მგზავრზე. ფინანსურ მენეჯერს გააჩნია შემდეგი ინფორმაცია საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ ერთი ტურისტის გადაზიდვაზე:

- საწვავის ღირებულება: 40ლარი
- საპოხი მასალების ღირებულება: 4ლარი
- ტექნიკური მომსახურების ღირებულება: 10 ლარი
- მიმდინარე რემონტის ღირებულება: 10 ლარი
- ამორტიზაცია: 10ლარი
- დაზღვევა: 15 ლარი
- ზედნადები ხარჯები: 12ლარი
- გადასახადები: 4ლარი

გარდა ამისა, კომპანიის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ყველა სერვისზე, რომელსაც სასტუმრო გასწევს, მოგება საექსპლუატაციო ხარჯების 10%-ს შეადგენს.

იანგარიშეთ გადაზიდვის ტარიფი ერთ ტურისტზე.

## ამოცანა 7.

### დისციპლინა: სასტუმროს მენეჯმენტი

გთხოვთ შეადგინოთ 100 ნომრიანი სასტუმროზე, წლიურ 60%-იან დატვირთვაზე გათვლილი საშტატო განრიგი.

## ამოცანა 8.

### დისციპლინა: საექსპურსიო საქმე

თქვენ აპირებთ ჩაატაროთ ექსპურსია ვარძიაში. თხრობის მეთოდი შეარჩიეთ “კითხვა-პასუხის ხერხი”. მოიფიქრეთ 12 კითხვა რომლებიც

ექსკურსანტების გააქტიურებასა და ექსკურსიის ჩატარებაში დაგეხმარებათ.

**ამოცანა 9.**

**დისციპლინა: პროექტების მართვა ტურიზმში**

თქვენ დაგნიშნეს პროექტის ხელმძღვანელად, თქვენი პროექტი გულისხმობს ახალი ტურის „მულტი-რელიგიური ბათუმი“ დაგეგმვას და დანერგვას. გაწერეთ თქვენი უფლებამოსილების ჩარჩო დოკუმენტი

**ამოცანა 10.**

**დისციპლინა: სტატისტიკა ტურიზმში**

მოცემულია ტურისტული კომპანიის მიერ რეალიზებული მომსახურების დინამიკა:

წლები	2013	2014	2015	2016
რეალიზებული მომს.(მლნ.ლარი)	4	7	4	8
ფირმების რაოდენობა	10	11	7	6

მონაცემების საფუძველზე იპოვეთ:

ა) ვარიაციის გაქანება

ბ) დისპერსია

გ) ვარიაციის კოეფიციენტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმის მენეჯმენტი  
 მისაღები გამოცდის საკითხები და ლიტერატურა

<p>მისაღები გამოცდის საკითხები:</p>	
<p>დისციპლინა: ტურიზმის და მასპინძლობის საფუძვლები</p> <p>ლიტერატურა:                  ჩარლზ რ გელდენერი, ჯ.რ.ბრენტ რითჩი. „ტურიზმი: საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია., მე-12 გამოცემა: თარგმ. ინგლ.- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013. - 554 გვ.</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ტურიზმი პერსპექტივაში</li> <li>2. მსოფლიო, ეროვნული, რეგიონული და სხვა ორგანიზაციები</li> <li>3. მგზავრების ტრანსპორტირება</li> <li>4. მასპინძლობა და მასთან დაკავშირებული სერვისები</li> <li>5. ორგანიზაციები დისტრიბუციის პროცესში</li> <li>6. სანახაობები, გართობა, დასვენება და სხვა მიმზიდველი ტურისტული საშუალებანი</li> <li>7. კულტურული და საერთაშორისო ტურიზმი, როგორც ცხოვრების გამრავალფეროვნების ერთ-ერთი საშუალება</li> <li>8. ტურიზმი და გარემო</li> </ol>
<p>დისციპლინა: მენეჯმენტის საფუძვლები</p> <p>ლიტერატურა:                  სტეფან პ. რობინსი, მ. კულტერი - მენეჯმენტი, ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმანი, თსუ - 2018; (ხელმისაწვდომია ბსუ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. დაშვებისთვის გთხოვთ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს (პაატა ჩაგანავა. +995 577545490; <a href="mailto:chaganava.paata@bsu.edu.ge">chaganava.paata@bsu.edu.ge</a>)</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>9. მენეჯმენტი და ორგანიზაციები</li> <li>10. მენეჯმენტი გლობალურ გარემოში</li> <li>11. მენეჯერები როგორც გადაწყვეტილების მიმღებნი</li> <li>12. ცვლილებისა და ინოვაციის მართვა</li> <li>13. დაგეგმვის საფუძვლები</li> <li>14. მმართველობით კონტროლი</li> <li>15. მენეჯერები და კომუნიკაცია</li> <li>16. მომუშავეთა მოტივირება</li> </ol>
<p>დისციპლინა: მარკეტინგის საფუძვლები</p> <p>ლიტერატურა:                  ფ.კოტლერი. გ.არმსტრონგი. მარკეტინგის საფუძვლები. თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2015.</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>17. სემენტაცია, მიზნობრივი ბაზრის შერჩევა და პოზიციონირება</li> <li>18. პროდუქტი, მომსახურება და ბრენდინგის სტრატეგია</li> <li>19. ახალი პროდუქტის განვითარება და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სტრატეგიები</li> <li>20. ფასწარმოქმნის განსაზღვრებები და სტრატეგიები</li> <li>21. სადისტრიბუციო არხისა და მომარაგების ჯაჭვის მართვა</li> <li>22. საცალო და საბითუმო ვაჭრობა</li> <li>23. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია: რეკლამა, გაყიდვის სტიმულირება და საზოგადოებრივი ურთიერთობები</li> <li>24. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია: პერსონალური გაყიდვა და პირდაპირი მარკეტინგი</li> </ol>
<p>დისციპლინა: ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება ტურიზმში</p> <p>ლიტერატურა:                  ხორავა ა. კვატაშიძე ნ. სრესელი ნ. გოგრიჭიანი ზ. ბუღალტრული აღრიცხვა. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2017</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>25. ფინანსური ანგარიშგება და მისი როლი მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის საქმეში</li> <li>26. ფულადი საშუალებების აღრიცხვა</li> <li>27. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა</li> <li>28. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა</li> <li>29. მოთხოვნების აღრიცხვა</li> <li>30. ვალდებულებების აღრიცხვა</li> <li>31. შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა</li> <li>32. ფინანსური ანგარიშგება</li> </ol>
<p>დისციპლინა: ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები</p> <p>ლიტერატურა:                  ბერიძე რ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი. უნივერსალი. 2009.</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>33. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მეთოდები</li> <li>34. შრომის ანაზღაურება</li> <li>35. შრომით მოტივაცია</li> <li>36. ადამიანური რესურსების დაგეგმვა</li> <li>37. პერსონალის შერჩევა</li> <li>38. პერსონალის განვითარება, კარიერის მენეჯმენტი და სამუშაო გადაადგილებები</li> <li>39. პერსონალის ეფექტიანობის პროექტირება</li> <li>40. საწარმოო კონფლიქტი</li> </ol>
<p>დისციპლინა: ტრანსპორტი ტურიზმში</p> <p>ლიტერატურა:                  ხარტიონაშვილი ვ. სატრანსპორტო ლოგისტიკა. თბ. უნივერსალი.</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>41. საჰაერო ტრანსპორტი</li> <li>42. საარქონო ტრანსპორტი</li> </ol>

<p>2010</p>	<p>43. საავტომობილო ტრანსპორტი  44. საზღვაო ტრანსპორტი და სამდინარო ტრანსპორტი  45. საავტომობილო ტრანსპორტის რისკები  46. დაზღვევა  47. ტრანსპორტირების მეთოდისა და ტრანსპორტის სახის შერჩევა  48. სატრანსპორტო ტარიფები</p>
<p>დისციპლინა: სასტუმროს მენეჯმენტი  ლიტერატურა:  აზულაძე ვ. სასტუმრო საქმის საფუძვლები. თბილისი. 2015</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:  49. სანომრე ფონდების მართვა  50. კვების და სასმელების დეპარტამენტის მართვა  51. დალაგება-დასუფთავების მართვა  52. ადამიანური რესურსების მართვა  53. უსაფრთხოების მართვა  54. საინჟინრო-ტექნიკური დეპარტამენტის მართვა  55. მარკეტინგის მართვა  56. დაჯავშნის მომსახურების მართვა</p>
<p>დისციპლინა: საექსკურსიო საქმე  ლიტერატურა:  ექსკურსიათმცოდნეობა. აჭარის ა.რ. ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი. ქ.ბათუმი. გამომც. „კობა გაბაიძე“. 2009</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:  57. ექსკურსიის არსი, ფუნქციები და ნიშნები  58. ექსკურსიის აღქმის საექსკურსიო და პედაგოგიური მეთოდები  59. ფსიქოლოგიის ელემენტები ექსკურსიაში  60. ექსკურსიის კლასიფიკაცია, თემა და შინაარსი  61. ჩვენება, თხრობა.  62. ჩვენების და თხრობის შერწყმა  63. საექსკურსიო მეთოდიკა და ტუროპირება  64. ექსკურსიამძღვლის პროფესიული ოსტატობა</p>
<p>დისციპლინა: პროექტების მართვა ტურიზმში  ლიტერატურა:  ი. ჩხაიძე პროექტის მართვის საფუძვლები ბათ. 2009</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:  65. პროექტის არსი  66. როლების გადანაწილება პროექტის მართვის პროცესში  67. პროექტის მართვის პირველი “მომზადების” ეტაპი  68. პროექტის მართვის მეორე “დაგეგმვის” ეტაპი  69. პროექტის მართვის მესამე “განხორციელების” ეტაპი  70. პროექტის მართვის მეოთხე “დასრულების” ეტაპი  71. პროექტის ეტაპების თანმიმდევრულობა  72. პროექტის წარმატებული მართვის შვიდი პრინციპი</p>
<p>დისციპლინა: სტატისტიკა ტურიზმში  ლიტერატურა:  ნ. აბესაძე, რ.ქინქლაძე, ქ. ჩიტლაძე- სტატისტიკა ტურიზმისთვის. გამომც., უნივერსალი“, თბ., 2012</p>	<p>მისაღები გამოცდის საკითხები:  73. სტატისტიკური მასალის თავმოყრა და დაჯგუფება  74. აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეები  75. საშუალო სიდიდეები  76. ვარიაციის მაჩვენებლები  77. მოვლენათა შორის ურთერთკავშირის სტატისტიკური შესწავლის მეთოდები  78. შერჩევითი დაკვირვება  79. ტურისტული მოვლენების დინამიკის სტატისტიკური შესწავლა  80. ეკონომიკური ინდექსები</p>

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 ტურიზმის ფაკულტეტი  
 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმის მენეჯმენტი“  
 კონსულტაციების გრაფიკი

N	დისციპლინის დასახელება	აკადემიური პირი	კონსულტაციის თარიღი	კონსულტაციის დრო	აუდიტორია
	<b>კონსულტაციები დისციპლინების მიხედვით</b>				
1	ტურიზმის და მასპინძლობის საფუძვლები	თამარ ბერიძე. ასისტ. პროფ.	05.09.2023	12.00.-14.00.	127
2	მენეჯმენტის საფუძვლები	პაატა აროშიძე. ასოც. პროფ.	05.09.2023	14.00 – 16.00.	127
3	მარკეტინგის საფუძვლები	ეკატერინე ზახტაძე. ასოც. პროფ.	06.09.2023	12.00.-14.00.	127
4	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება ტურიზმში	ნარგიზ ფალავანდიშვილი. ასისტ. პროფ.	06.09.2023	14.00.-16.00.	127
5	ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები	ანზორ დევაძე. პროფ.	07.09.2023	12.00.-14.00.	127
6	ტრანსპორტი ტურიზმში	ანზორ დევაძე. პროფ.	07.09.2023	14.00.-16.00.	127
7	სასტუმროს მენეჯმენტი	მერაბ დიასამიძე. ასოც. პროფ.	08.09.2023	12.00.-14.00.	127
8	საექსკურსიო საქმე	თეონა ზოიძე ასისტ. პროფ.	08.09.2023	14.00. – 16.00.	127
9	პროექტების მართვა ტურიზმში	ცირა ცეცხლაძე. ასოც. პროფ.	13.09.2023	12.00.-14.00.	127
10	სტატისტიკა ტურიზმში	ნინო დევაძე. ასისტ. პროფ.	13.09.2023	14.00.-16.00.	127
	<b>ბილეთზე მუშაობა</b>				
1	სავარჯიშო ბილეთზე მუშაობა	პაატა ჩაგანავა. პროგრამის ხელმძღვანელი	14.09.2023	12.00.-15.00.	116